

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება

ელენე ცერცვაძე

ელ-ფოსტა: Cercvadzeelene960@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბუნებრივი ტერიტორიების ათვისების და ურბანული განვითარების ზრდის ფონის გათვალისწინებით, ბუნებრივმა გარემომ ტრანსფორმაცია განიცადა, რაც დროდადრო აისახა ჩვენს გარემო პირობებზე. ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ, გეოდინამიკურმა, კლიმატურმა და გეოეკოლოგიურმა სახეცვლილებებმა, მნიშვნელოვანი როლი და მთავარი ფაქტორი ითამაშეს გარემო პირობების ჩამოყალიბებაში. ბუნების კატასტროფული და უარყოფითი შედეგებისგან მოსახლეობის დაცვა, ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირება და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება გახდა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და მნიშვნელოვანი პრობლემა. ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მასშტაბები მუდმივიდად ცვალებადი და მზარდია, შესაბამისად გეოეკოლოგიური გართულებები ამ რეგიონში მკაფიოდ გამოხატული და კრიტიკულ მდგომარეობამდეა მისული.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, რომელიც გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი და უნიკალური გეომორფოლოგიური, გეოეკოლოგიური, გეოლოგიური, კლიმატური პირობების სახეცვლილებებით და მრავალფეროვნებით. ბოლო ათწლეულში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ფართო ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ, გარდაქმნა და დააჩქარა სხვადასხვა პროცესი თუ მოვლენა, რაც ნათელი მაგალითია ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაციის სავალალო შედეგისა თუ მდგომარეობის.